

# VYNITY

2024

ენერგეტიკის სექტორის მიმოხილვა

## შესავალი

ელექტროენერჯის სექტორი კვლავ სტრატეგიულ როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში.

2024 წელს მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს, რადგან ის არა მხოლოდ ქვეყნის ენერჯეტიკული უსაფრთხოების საფუძველს წარმოადგენს, არამედ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკის სხვა სექტორებზე, მათ შორის ინდუსტრიულ და საექსპორტო მიმართულებებზე. ელექტროენერჯის სექტორის სტრატეგიული მიზანმიმართული სტაბილურად ნარჩუნდება, ხოლო მისი ირიბი წვლილი, განსაკუთრებით მეტალურგიულ და სხვა მაღალ ენერჯომოხმარებად სექტორებთან კავშირში, მნიშვნელოვნად აძლიერებს ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას. ამავდროულად, ენერჯო-

დეფიციტური სტატუსი კვლავ გამოწვევად რჩება, რაც მოითხოვს სექტორის სტრატეგიული განვითარების მიმართულებით გონივრულ და დროულ ნაბიჯებს


## 1. მოხმარება

საერთო ჯამში, 2024 წელს საქართველოს ელ.ენერჯის მოხმარებამ 10 467 მლნ. კვტ/სთ შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 9% -ით აღემატება 2023 წლის შედეგს, ხოლო 7%-ით აღემატება ბოლო 5 წლის საშუალო მაჩვენებელს. ამრიგად, ერთის მხრივ 2024 წელი შეგვიძლია პოზიტიურ წელად მივიჩნიოთ, მაკროეკონომიკური სტანდარტებით.

2024 წელს ენერჯომოხმარების ზრდა თანაბრად გამოხატულია თითქმის ყველა თვეში, რაც მიუთითებს სტაბილურ და უწყვეტ მოთხოვნას ელექტროენერჯიაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ოქტომბერი და ნოემბერი, სადაც მოხმარებამ 1,000 მლნ კვტ/სთ-ს გადააჭარბა, რაც ზრდის პიკს წარმოადგენს. ეს ტენდენცია ხაზს უსვამს ქვეყნის ეკონომიკის მზარდ საჭიროებას ენერჯის რესურსებზე, რაც, თავის მხრივ, გამოწვევას წარმოადგენს სექტორის წარმოებისა და ენერჯეტიკული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

## 1. მოხმარება

ამრიგად, 2024 წელი შეიძლება შეფასდეს როგორც ერთ-ერთი პოზიტიური წელი, მაკროეკონომიკური სტანდარტებით, არა მხოლოდ მოხმარების ზრდის კუთხით, არამედ სექტორის გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივებითაც. მნიშვნელოვანია, რომ ამ ზრდასთან ერთად გაძლიერდეს ინვესტიციები ენერგეტიკული ინფრასტრუქტურისა და მწვანე ენერჯის წარმოებაში, რათა მომავალი მოთხოვნების დაკმაყოფილება მდგრადი გზებით გახდეს შესაძლებელი.



### 1.1 მოსახლეობა

2024 წლის გაზრდილი მოთხოვნის მთავარი ფაქტორი, მოსახლეობის მხრიდან გაზრდილი ელ.ენერჯის მოხმარებაა. ამ ჯგუფის მხრიდან მოხამრებულმა ელ.ენერჯიამ 7 325 მლნ კვტ/სთ შეადგინა, რაც 6,64 % - ით აღემატება წინა წლის შედეგს. აღნიშნული ზრდის მთავარი ფაქტორები შემდეგია : ტურიზმი, მეტი საოჯახო კერა, კლიმატი, კრიპტოინდუსტია და გაზრდილი ეკონომიკა.


ტურიზმი - 2024 წლის მთავარ ტურისტულ პერიოდში (მაისი - სექტემბერი), საქართველოში რეკორდული რაოდენობის ტურისტი დაფიქსირდა, აღნიშნული პირდაპირი კორელაციაა მეტ ეკონომიკურ და ენერგეტიკულ აქტივობასთან, რაც აისახება საშუალო 7%-იანი ზრდით ამ პერიოდში.

### 1.1 მოსახლეობა

საოჯახო კერები - ბოლო წლების ტენდენცია, სუსტდება, თუმცა კვლავ თვალსაჩინოა, მშენებლობის სექტორში გაზრდილი მოთხოვნა უძრავ ქონებაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ მეტი ინდივიდუალური კერა ჩნდება, რაც ერთი-ორად ზრდის ენერჯიაზე მოთხოვნას.

კლიმატი - 2024 წელს საშუალოზე შედარებით ცივი ბოლო კვარტალი იყო, რაც მოსახლეობის მხრიდან მეტად მოხმარებულ ელ.ენერჯიას ნიშნავს გათბობის მიზნით, თუ რამდენი იყო გათბობის წილი რთული სათქმელია, რადგან სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა კრიპტოვალუტების ფასის მკვეთრი ზრდა საერთაშორისო ბირჟებზეც, რაც მნიშვნელოვანი მოტივაცია იყო, მოსახლეობისთვის და მცირე ბიზნესებისთვის, რომ მცირე მოცულობების „მაინერებით“ ფინანსური სარგებელი ენახათ, რაც მკვეთრად ზრდის ელ.ენერჯიის მოხმარებას. : საშუალოდ 12,7 % ზრდა მოსახლეობის მხრიდან მოხმარებულ ელ.ენერჯიაში მეოთხე კვარტალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.


გაზრდილი ეკონომიკა - ბოლო წელს დაფიქსირებული მშპ-ს ზრდა არაპირდაპირი გზით აისახება გაზრდილ ელ.ენერჯიის მოხარებაში.



## 1.2. კვალიფიციური მომხმარებლები

განკუთრებით საყურადღებოა პირდაპირი მომხმარებლების მხრიდან მოთხოვნილი ენერჯის შეფასება. 2024 წელს საქართველოში 70 კვალიფიციური მომხმარებელი ფიქსირდებოდა, რომელთა ჯამურმა მოთხოვნამ 3142 მლ.კვტ/სთ შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 16 % -ით უმჯობესია 2023 წლის მონაცემზე, თუმცა 13 % -ით ჩამორჩება 2022 და 2021 წლის მოთხოვნას. წილობრივად, პირდაპირი მომხმარებლების მოთხოვნა საერთო მოთხოვნის 21% იყო, რაც ასევე ნაკლებია 2022 და 21 წლების ნიშნულზე.

სექტორივად, ორი მნიშვნელოვანი სექტორია გამოსაყოფი: მეტალურგია და კრიპტოინდუსტრია. უკვე წლებია მეტალურგია ქართული ეკონომიკის ხერხემალს წარმოადგენს, სფეროს მხრიდან მოთხოვნილი ელ.ენერჯის წილი 38%-ს შეადგენს კვალიფიციური მომხმარებლების ჯამურ მოთხოვნაში. სფეროსთვის 2024 წელი ორ პერიოდად იყოფა: პირველი სამი კვარტალი და ბოლო კვარტალი. პირველ პერიოდში სახელმწიფოს ჩართულობით, ფეროშენადნობთა ინდუსტრიას შეღავათიანი დენი მიეწოდებოდა, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა უცხოურ ბაზრებზე კონ კურენტული ფასის ქონის საშუალებას. თუმცა, სექტემბრიდან მოყოლებული, უცხო ბაზრებზე ფასების კლებამ და შიდა ბაზარზე გაძვირებულმა ელ.ენერჯიამ, საგრძობლად შეამცირა სექტორის მხრიდან მოხარებული ელ.ენერჯია. რიცხობრივად, ბოლო კვარტალში 30 % (108.1 მლნ. კვტ/სთ) იანი კლება ფიქსირდება წინა წელთან შედარებით.




## 1.2. კვალიფიციური მომხმარებლები

რაც შეეხება კრიპტოინდუსტრიას, 2024 წელს „ბიტკოინმა“ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია, რამაც საგრძნობლად გააძლიერა „მაინინგის“ აქტივობა. აღნიშნული განსაკუთრებით საგრძნობი იყო მესამე და მეოთხე კვარტალში, როდესაც კრიპტოსფერომ ელ.ენერგიაზე მოთხოვნა წინა წელთან შედარებით გააოთხმაგა (151.5 მლნ. კვტ/სთ ზრდა) . თუმცა აუცილებლად უნდა ითქვას, რომ კრიპტოსფერო ძალიან ფლუქტუაციური ბაზარია და წლევანდელი ზრდა ნაკლებად მდგრადია.

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ კვალიფიციური მომხმარებლებისგან მოთხოვნილი ელ.ენერგია ცხადყოფს, რომ ქართული ეკონომიკის მსხვილ მოთამაშეებს მეტი ხელშეწყობა სჭირდებათ ოპერირებისთვის.



## 1.3. ექსპორტი

2024 წლის ბოლოს, საქართველომ 1 047 მლნ კვტ/სთ ელ.ენერგიის ექსპორტირება შეძლო. აღნიშნული მაჩვენებელი 29 % -ით ჩამორჩება წინა წლის მაჩვენებელს, რისი მთავარი გამომწვევი მიზეზი გაზრდილი შიდა მოხმარება და მეზობელ ქვეყნებში გაძლიერებული შიდა გენერაციაა. 2024 წელსაც, მთავარი საექსპორტო პარტნიორი თურქეთი იყო, რომელზეც ექსპორტის 83 % მოდის, შემდეგ სომხეთი 13 % - ით და აზერბაიჯანი - 4% . აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით თითქმის განხევრდა აზერბაიჯანთან ექსპორტი, ხოლო 30% ზე მეტით შემცირდა თურქეთში ექსპორტირებული ენერგიის მოცულობა. საბოლოო ჯამში ელ.ენერგიის მოთხოვნა შემდეგნაირად განაწილდა:



## 2. გენერაცია

2024 წელს ქვეყნის ელ.ენერჯიის რესურსმა 15 209 მლნ.კვტ/სთ შეადგინა, აღნიშნული რიცხვი 2 % უკეთესია წინა წლის შედეგზე და თითქმის ემთხვევა 2022 წლის რეკორდულ ნიშნულს. აღნიშნული რესურსი კი შემდეგნაირად გადანაწილდა : 73 % - ჰიდროგენერაცია, 18 % - თბოსადგურები, 8% - იმპორტი (მეტწილად აფხაზეთისთვის) და 1 % - ქარის ელ.სადგური.



## 2.1 ჰიდროელექტროსადგურები

ქვეყნის მთავარი ელ.ენერჯის გამომუშავების წყარო კვლავ ჰიდროენერჯეტიკაა. 2024 წლის პირველ ცხრა თვეში ამ სექტორის მხრიდან გამომუშავებული ელ.ენერჯია (9,480 მლნ კვტ.სთ) რეკორდულად მაღალია წლის პირველი 9 თვისთვის, ამის მთავარი მიზეზი ჰიდროლოგიური მაჩვენებლებია, რომლებიც 2024 წელს ფიქსირებოდა. თუმცა, მესამე კვარტალი 2% - ით , ჩამორჩება წინა წელს დაფიქსირებულ შედეგს.

## 2.2 თბოელექტროსადგურები

ჰიდროგენერაციის რეკორდული გამომუშავების ფონზე, წინა წლებთან შედარებით ნაკლებად დაიტვირთა თბოსადგურები, მათი გამოყენება მხოლოდ ზამთრის დეფიციტურ პერიოდებში ხდებოდა. საერთო ჯამში მათი მხრიდან გამომუშავებული ელ.ენერჯია 2 812 მლნ. კვტ/სთ-ს გაუტოლდა.

## 2.3. ქარის ელექტროსადგური

ქარის ელექტროსადგურების მხრივ, მნიშვნელოვანი სიახლე არ დაფიქსირებულა, მათი წილი კვლავ მინიმალური 1% პროცენტია მთლიან გენერაციაში.

## 2.4. იმპორტი

2024 წელს საქართველოს მხრიდან იმპორტირებულმა ელ.ენერჯიამ 1 227 მლნ კვტ/სთ შეადგინა. ერთი შეხედვით 2024 წელს იმპორტირებული ელ.ენერჯია მკვეთრად აღემატება 2023 წლის მონაცემს (55 % - იანი მატება), თუმცა გასათვალისწინებელია, ის ფაქტორი, რომ აღნიშნული ზრდა მეტწილად უკავშირდება აფხაზეთსა და რუსეთს შორის ელ.ენერჯის გაცვლის შეწყვეტას. აღნიშნულის გამო, საქართველო ახორციელებს მეტი ელ.ენერჯის იმპორტს და შემდეგ ამისამართებს შესყიდულ ენერჯიას აფხაზეთის მიმართულებით.

საბოლოო ჯამში, წლის შედეგი ასეთია, რუსეთი ქვეყნის მთავარი მომწოდებელი (79 %), რომელსაც მოსდევს აზერბაიჯანი (15 %) და სომხეთი (9%).

### 3. ფასები

#### 3.1 საქართველო

ქართულ ბაზარზე, საბითუმო ელ.ენერჯიის საბაზრო ფასი შემდეგია:

პერიოდი	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
იანვარი	\$ 5,19	\$ 5,09	\$ 5,04	\$ 4,73	\$ 6,02	\$ 5,496	\$ 5,786
თებერვალი	\$ 5,28	\$ 5,07	\$ 4,98	\$ 4,70	\$ 6,21	\$ 5,502	\$ 5,915
მარტი	\$ 5,06	\$ 5,00	\$ 5,62	\$ 4,90	\$ 5,91	\$ 5,422	\$ 5,792
აპრილი	\$ 4,92	\$ 4,81	\$ 5,02	\$ 4,91	\$ 5,49	\$ 5,503	\$ 5,705
მაისი	\$ 5,36	\$ 2,63	\$ 4,16	\$ 3,89	\$ 4,66	\$ 3,287	\$ 4,438
ივნისი	\$ 5,16	\$ 2,52	\$ 4,31	\$ 4,40	\$ 4,91	\$ 4,638	\$ 5,245
ივლისი	\$ 3,63	\$ 4,61	\$ 4,89	\$ 3,57	\$ 4,16	\$ 5,147	\$ 5,738
აგვისტო	\$ 4,61	\$ 4,85	\$ 5,04	\$ 5,15	\$ 5,24	\$ 5,189	\$ 5,750
სექტემბერი	\$ 4,44	\$ 5,02	\$ 5,06	\$ 5,43	\$ 5,34	\$ 5,353	\$ 5,494
ოქტომბერი	\$ 5,19	\$ 4,96	\$ 5,36	\$ 5,55	\$ 6,15	\$ 5,547	\$ 5,255
ნოემბერი	\$ 5,13	\$ 5,20	\$ 5,02	\$ 5,46	\$ 5,32	\$ 5,504	\$ 5,57
დეკემბერი	\$ 5,24	\$ 5,14	\$ 4,80	\$ 5,43	\$ 5,36	\$ 5,449	\$ 5,845
წლიური საშუალო	\$ 4,94	\$ 4,57	\$ 4,94	\$ 4,84	\$ 5,40	\$ 5,170	\$ 5,544

## 4. პროგნოზი

2025 წელი მნიშვნელოვანი წელი იქნება ქართულ ენერჯეტიკაში, საინტერესოა თუ როგორ განვითარდება მეტალურგია, რა ბედი ელის კრიპტოინდუსტრიას და გაიხსნება თუ არა ელ.ენერჯის სავაჭრო ბირჟა.

ჩვენი პროგნოზით, მოსახლეობის რაოდენობა იგივე იქნება რაც 2024 წელს, კერები მცირედით გაიზრდება, ასევე გაიზრდება ეკონომიკური აქტივობა, თუმცა მეტად სავარაუდოა კრიპტოვალუტების ფასის შემცირება, ამრიგად მოსახლეობის მხრიდან ჩვენი აზრით კვლავ გაგრძელდება ზრდა, თუმცა უფრო მცირე ტემპით და აღნიშნული 2% -ს გაუტოლდება.

პირდაპირი მომხარებლების მხარეს, ასევე ზრდას ვვარაუდობთ, რაც მეტალურგიული დარგის გამოცოცხლებით აიხსნება. გლობალური ცვლილებები, ახლო მომავალში, მკვეთრად გაზრდის მეტალურგიულ პროდუქტებზე მოთხოვნას, რაც ფასში და საბოლოოდ წარმოების გაზრდაში გადაითარგმნება. თუმცა, კრიპტოინდუსტრიის შემცირება, რაღაც დონეზე გააბათილებს მეტალურგიის ზრდას, და ჯამურად 4%-იან ზრდას ველით.

ექსპორტის მხარეს, შემცირდება ექსპორტირებული ენერჯია სომხეთში, მათი მხრიდან გაზრდილი შიდა რესურსის გამო. თურქეთის მხარეს, მცირე ზრდას ვპროგნოზირებთ, ქართული ჰიდრორესურსის გაზრდის ხარჯზე, რაც ქართულ ელ.ენერჯიას გააიაფებს. ამრიგად ექსპორტის მხარეს, ნულოვანი ან მცირედი 1-2% ზრდაა მოსალოდნელი.

ამრიგად, მოთხოვნის მხარეს, ჯამური მოთხოვნა დაახლოებით 2,5-3 % ით გაიზრდება.

რესურსის მხარეს, საჭირო იქნება ამ ზრდის გატოლება, ბალანსის დაცვისთვის. 2024 წლის ბოლოს ექსპლოტაციაში შევიდა ჰიდროელექტორსადგური „ხობი 2“, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის ჰიდრო გენერაციას. ამასთანავე ქვეყანას კვლავ მარაგში აქვს თბოსადგურები და მათი რესურსი. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ საქართველოს არ მოუწევს იმპორტის გაზრდა, გარდა იმ ელ.ენერჯისა, რომელიც აფხაზეთს მოხმარდება.

საბოლოო ჯამში, 2025 წელს, ბაზარი 2-3 % ით გაიზრდება, რომლის დაკმაყოფილებაც ჰიდრო და თბო გენერაციის ზრდით მოხდება.

# VYNITY

Feel The Future, Be The Future

შპს "ენჯი დატა პროცესინგი"  
მის.: ქ. თბილისი პ. ქავთარაძის I შესახვევი 56  
ს/კ: 405697857  
ელ-ფოსტა: info@vynity.com

LTD "Enji Data Procesing"  
Adress: Tbilisi, P. Kavtaradze I Turn N6  
Tax Code: 405697857  
Email: info@vynity.com